სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

30/07/2026

MES 2 26 0000993044

ბრძანება

თბილისი

2026 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტების მოხსნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის, "ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, „2026 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 02 ივნისის N655948 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 29 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (N987084) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2026 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსიდან კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო პროექტები:

ა) YS-26-2435;
ბ) YS-26-1569;
გ) YS-26-1042;
დ) YS-26-3302.

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი

დოჭვირი თეიმურაზ